

398  
R-786

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან კონსტანტინეს ასული ჩოლოყაშვილი

უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი  
ქართულ ხალხურ ეპოსში

10.01.09 – ფოლკლორი

აკტორეფრატი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში.

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპოლონ ცაბავა.

ოფიციალური ოპონენტები:

1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ლლონტი.
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ქურდოვანიძე.
3. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი.

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოხუმის ფილიალი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 11 ნოემბრის 12<sup>00</sup> საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P IO.OI. C № 3) სხდომაზე.

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. № 5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორიფერატი დაგზავნილია 1998 წლის 9 თებერვლის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მარყოლი (ამირან არაბული)

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და გამოკვლევის მიზანი. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ზღაპრული ეპოსი. ხალხური სიტყვიერების ეს უძველესი, უმდიდრესი, უმნიშვნელოვანესი და უპოპულარულესი უხარი სამი ქვეყანარისაგან შედგება. ზღაპრული ეპოსი ვითარდებოდა საუკუნეთა მანძილზე და ნასაზრდოები იყო იმ უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, რომელთა სამსახურშიც იდგა მისი შემქმნელი ხალხი. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განისაზღვრება იმ მასალათა ანალიზით, რომელნიც მნიშვნელოვანია, როგორც ქართული ზღაპრული ეპოსის საიდუმლოებით მოცული ისტორიული შრეების განხილვა და ინტერპრეტაციისათვის, ისე სხვა ხალხების ფოლკლორულ ნიმუშთა შესასწავლად. უძველეს რწმენა-წარმოდგენათა შუქზე ამ უხარის მართებულად გააზრების შემთხვევაში მრავალმხრივ წარმოდგენა ზღაპართა თავისებულებანი, მათი საერთო საფუძველი და მისწრაფება; მოგვეცემა საშუალება მისი პერსონაჟების მოტივებისა და სიუჟეტების მეცნიერული ინტერპრეტაციისა. ზღაპრული ეპოსის სიღრმისეული ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია თაობათა ხელში ჩამოყალიბებული და გამრავალფეროვნებული მისი მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების სწორად აღქმა, ზღაპრული ეპოსის სამივე ქვეყანარის ურთიერთმიმართებისა, დადგენა მათ შორის საზღვრისა, გარკვევა ზღაპრული ეპოსის იდეასა და მრწამსში.

პრობლემის დამუშავების მდგომარეობა. ქართული ხალხური ზღაპრული ეპოსის შესწავლასა და კვლევას კარგა ხანია სერიოზული ყურადღება ექცევა საქართველოში. ქართულ ფოლკლორისტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო პერიოდში შესრულებული არა ერთი გამოკვლევა. დიდა ამ საკმეში მ.ჩიქვანის, ალ. ლლონტის, ელ. ვირსალაძის, თ. თქომშიძის, ა. ცანავას, თ. ქურდოვანიძის, ფ. ზანდუკელის, მ. ჩარავასა და სხვათა ღვაწლი.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით არასახარბიე-

1645